19/12/2024

MES 7 24 0001631825

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა:
ინეზა ციხიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლა:
ნინო კაშია - სკოლის დირექტორი

სსიპ- ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა:
მარიზა აბაშიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლა:
დონარი აბულაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლა:
ნათელა ბახტაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლა:
ნუნუ კაპანაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა:
ხათუნა მაძღარაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლა:
ბექა შათირიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ- ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა:

ა) ნინო ბეგლარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლელა ბუბაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეთერ ბოკელავაძე(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ)ნინო ზირაქაძე(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ)მარინე ხუციშვილი(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლა:

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლა:

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა ფაილაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლა:

ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ჩხიკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა გეგეშიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა გიგიბერია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა:

ა) მადონა მუმლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ იაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე სეხნიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია გოგოლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლია ნადირაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ქოქუაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლელა ფანოზიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლა:

ა) თინა ძულიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია აბდელანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 06 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N 1397714 ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ- ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. „სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N1397714 ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცენტრს დაუკავშირდა სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის დირექტორი და აცნობა, რომ 2024 წლის 31 ოქტომბრის N1397714 საბჭოს სხდომის ოქმში, სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის დირექტორის გვარი შეცდომით იყო დაფიქსირებული. კერძოდ, ნაცვლად მაკა ჯინჭარაძისა, ოქმში მითითებული იყო მაკა ჭავჭანიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N 1397714 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N 1397714 ოქმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ოქმის მესამე თავი და მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა:
გულნაზ კარანაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლა:
მაკა ჯინჭარაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლა:
მერი ხადილაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლა:
ნინო ფორჩხიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ-ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლა:
ზაზა ლომოური - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ-გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლა:
ნინო ნადირაძე -სკოლის დირექტორი

სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა:
რომანოზ ქიქავა - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა:
დავით ეცადეიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლა:
ლელა სუხიტაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლა:
გურამ გიგაური - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლა:
მარინე დემეტრაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა:
ბესარიონ სიხარულიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა:
ლენა აბაშიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა:
თინათინ გოგელია - სკოლის დირექტორი“

„2. სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 49. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 49 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო, გარე სპორტული მოედანი, სკოლის შენობაში, დერეფნებში იდგა მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა კომპიუტერული მეცნიერებების ოთახი, სადაც განთავსებული იყო 24 ერთეული კომპიუტერი, ბიბილიოთეკა, სამედიცინო კუთხე და ადაპტირებული სველი წერტილი.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მეტი ყურადღება დაეთმოთ მე-3 კლასის „მე და საზოგადოების“ კურიკულუმისთვის, ვინაიდან მოცემული იყო ბუნდოვანი დავალებები, ასევე, საგანში „ჩვენი საქართველო“ მეტად გამოეკვეთათ რაჭისა და ამბროლაურის მხარე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მე-9 კლასის საგან „მოქალაქეობის“ კურიკულუმსაც ესაჭიროებოდა გადახედვა, ვინაიდან დავალებების ფორმულირება არ იყო მკაფიო და გასაგები, ასევე, არ მოიცავდა იმ თემებს, რასაც რეალურად უნდა სწავლობდეს მე-9 კლასის მოსწავლე.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში და ვებ-გვერდზე მითითებული მისიები იყო სხვადასხვა და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, გამოესწორებინა ეს საკითხი.
სკოლის დირექტორის, მაკა ჯინჭარაძის განმარტებით, დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის დროს შემუშავებული არ ჰქონდა ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, შესაბამისად, საბჭოს წევრებს წვდომა ჰქონდათ წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმაზე, ხოლო ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა უკვე განთავსებული იყო ვებ-გვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 49 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:56
დასრულების დრო - 17:04

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლას (ს/კ: 222943901) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 49 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭყვიში
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭყვიში

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ოქტომბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, საჯარო რეესტრის ამონაწერის, ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები:** მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.“

2. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა რესურსოთახის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებამ 2024 წლის 20 ნოემბერს წარმოადგინა რესურსოთახის მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3. სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრულირეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და სპორტულ დარბაზში შეზღუდული შესაძლებლობების/ეტლით მოსარგებლე პირებისთვის გადაადგილების პრობლემის აღმოფხვრის მტკიცებულებები.
დაწესებულებამ 2024 წლის 11 ნოემბერს წარმოადგინა სპორტულ დარბაზში ჩასასვლელ კიბეზე პანდუსის დამონტაჟებისა და პირველ სართულზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

4. სსიპ- ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2124. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2124 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა საკლუბო მუშაობით. მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება, ინტერესების შესაბამისად, გაწევრიანებულიყვნენ სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში და მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროექტებში.
ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა ლიფტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, მუსიკალური სტუდია (სკოლას ჰყავდა ბენდი), სახელოსნო (სადაც მოსწავლეები ქმნიდნენ სხვადასხვა პროდუქტს), ექიმის ოთახი, რესურსოთახი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებების საფუძველზე, დაინტერესდა, აპირებდა თუ არა დაწესებულება მეორე ექიმის დასაქმებას. ასევე, ის დაინტერესდა, რატომ წარმოადგენდა პრობლემურ საკითხს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მასწავლებლების დასაქმება.
სკოლის დირექტორის, მარიზა აბაშიძის, განმარტებით, მათ გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და მიმართეს ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ექიმის შტატის დამატების მიზნით. ასევე, მოითხოვეს სამედიცინო ოთახის შესაბამისი რესურისით აღჭურვა. რაც შეეხებოდა მასწავლებლების დასაქმებას, მისი თქმით, სკოლამ რამდენჯერმე გამოაცხადა ვაკანსია, თუმცა სასურველი კადრი ვერ შეირჩა. დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ საგნების სწავლება შეთავსებული ჰქონდათ სხვა მასწავლებლებს, რომლებსაც ჰქონდათ მათი სწავლების გამოცდილება, თუმცა არ იყვნენ ამ მიმართულებებით სერტიფიცირებული. სკოლის დირექტორის თქმით, დაწესებულება კვლავ აპირებდა ვაკანსიის გამოცხადებას.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი, დაინტერესდა, რა მეთოდოლოგიით იხელმძღვანელა სკოლამ, როდესაც მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოითხოვა 2124 მოსწავლე.
სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ციფრი მოცემული იყო სკოლის საკლასო ოთახების რაოდენობის 29-ზე გამრავლებით. მისი თქმით, დაწესებულება მდებარეობდა ქალაქის ცენტრში და მოსწავლეთა მიმართვიანობა იყო საკმაოდ მაღალი.
აქვე, საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, განმარტა, რომ სასურველი იყო დაწესებულებებს დაეთმოთ მინიმუმ 10 საკლასო ოთახი, არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის.
სკოლის დირექტორმა, მარიზა აბაშიძემ, განმარტა, რომ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებას ჰქონდა ორი სპორტული დარბაზი, ორი სახელოსნო და სააქტო დარბაზი.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა, რომ მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, გაცემული ჰქონდა რჩევა, რომ სკოლას შეემუშავებინა დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, კონკრეტულად რას ეხებოდა აღნიშნული რჩევა.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ავთანდილ კეჭაყმაძის, განმარტებით, კათედრის ოქმში ასახული იყო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ დამხმარე რესურსებს იყენებდნენ მათემატიკის მასწავლებლები. აქედან გამომდინარე, მისცა რჩევა, რომ შეემუშავებინათ ისეთი დოკუმენტი, სადაც მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავებისას დაადგენდნენ, თუ რომელი სასწავლო რესურსები იყო მიღებული კონკრეტულ სასწავლო წელს. ვერიფიკაციის მექანიზმში კი სასურველი იყო ასახულიყო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ ინსტურმენტებს ამოწმებდნენ, როგორ განისაზღვრებოდა რისკები და როგორ შეიმუშავებდნენ ვერიფიკაციის გეგმას.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლებისთვის ვერიფიკაციისა და ვალიდაციის დოკუმენტაცია იყო სიახლე და ექსპერტებს მისცა რჩევა, ამ მიმართულებით გაცემული რჩევები/რეკომენდაციები ყოფილიყო მეტად მკაფიო.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა სკოლას ვებ-გვერდზე ასახული სკოლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია და სტრატეგიული გეგმა.
სკოლის დირექტორმა, მარიზა აბაშიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით და უმოკლეს დროში აღმოფხვრიდნენ ამ საკითხებს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რეკომენდაცია, იჯარის ხელშეკრულებებში ვადები მოეყვანა კანონმდებლობასთან თანხვედრაში და განმარტა, რომ ერთწლიანი ვადა ითვლდებოდა სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვიდან და არა სკოლის დირექტორის ნებართვიდან. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დაემტკიცებინა სამეურვეო საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2124 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:23
დასრულების დრო - 16:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429488) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 2124 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N19
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N19
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N19

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის დეკემბერში 2.2 (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგამანათლებლო პროგრამა), 3.1 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მასწავლებლის დასაქმებისა და მეორე ექიმის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 94. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 94 მოსწავლისთვის.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეები, პირველი ქუჩა N5-სა და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელი ზედა დეკანაშვილები, პირველი ქუჩა N31-ში.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა ”მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ორივე შენობაში შექმნილი იყო მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი გარემო. მთავარ შენობას ჰქონდა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, შიდა და გარე სპორტული მოედნები, ექიმის ოთახი, რესურსოთახი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მუშაობა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ნინო აბესაძემ, აღნიშნა, რომ გარკვეული მიმართულებებით სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა. მისი შეფასებით, სკოლის დირექტორსა და სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა მზაობა, გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები და აღმოეფხვრა ყველა უზუსტობა.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ნამდვილად კეთილმოწყობილი გარემო იყო შექმნილი და ამისთვის მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს. აქვე, აღნიშნა, რომ ბრძანებებში მითითებული იყო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ძველი დასახელება და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, სამომავლოდ აესახათ ახალი სახელწოდება.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე ინფრასტრუქტურის ამსახველი უფრო მეტი ფოტოსურათი განეთავსებინა, მათ შორის, მეორე სკოლის ფოტომასალა. აქვე, აღნიშნა, რომ სკოლის სტრუქტურაში არ იყო ასახული მოსწავლეთა თვითმმართველობა და სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ჩაესწორებინა აღნიშნული საკითხიც. ასევე, დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ სკოლის კურიკულუმებში მოცემული იყო

სხვა სკოლების სახელწოდებები. ასევე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, საგანში „ჩვენი საქართველო“ მეტი ყურადღება დაეთმოთ აჭარის კუთხისათვის და გაეგრძელებინათ მუშაობა შეფასების სისტემის დახვეწის მიმართულებით, იმ რჩევების გათვალისწინებით, რაც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა სკოლის მიმართ.
ექსპერტის, ეკატერინე გავაშელიშვილის განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით გასცეს რჩევა და სკოლამ წარმოადგინა განახლებული და ჩასწორებული დოკუმენტაცია.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, აქვე დასძინა, რომ დაწესებულებაში ასევე შექმნილი იყო თანამშრომლობითი გარემო და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, საკმაოდ ბევრი რამ ჰქონდა სკოლას გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტად გაემრავალფეროვნებინათ პროექტული სწავლების დავალებების ფორმატი, კერძოდ, დაემატებინათ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხები და საგანთაშორის ინტეგრირებული დავალებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 94 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:45
დასრულების დრო - 16:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლას (ს/კ: 248053715) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 94 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის	დაწყებითი	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ძირკვაძეები, პირველი ქუჩა N5; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა დეკანაშვილები, პირველი ქუჩა N31
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ძირკვაძეები, პირველი ქუჩა N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ძირკვაძეები, პირველი ქუჩა N5

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის დეკემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და შენობის მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსის ან ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 160. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 160 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა “მეტწილად”, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა “ნაწილობრივი” შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, წყლის ავზი, მუსიკალური ოთახი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებების საფუძველზე, დაინტერესდა, რამდენად უზრუნველყოფდა სკოლა ფიზიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლებას, რადგან არ ჰყავდა სერტიფიცირებული პედაგოგი.
სკოლის დირექტორმა, ნათელა ბახტაძემ, აღნიშნა, რომ მასწავლებელთა სიმწირე გამოწვეული იყო რეგიონიდან გაზრდილი მიგრაციით. მისი თქმით, ის მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიდნენ ზემოაღნიშნულ საგნებს, გადიოდნენ სხვადასხვა სასწავლო კურსებსა და ტრენინგებს და შესაბამისად, მოსწავლეებს აწვდიდნენ სრულყოფილ ცოდნას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია. ასევე, აღნიშნა, რომ მისიასა და ხედვას ესაჭიროებოდა გადახედვა, კერძოდ ხედვაში ასახული იყო, რომ სკოლის სურვილი იყო მოსწავლის სოციალურად სწორი ორიენტაციით აღზრდა. მისი თქმით, მსგავსი ტერმინი არ არსებობდა და საჭიროებდა გადახედვას.
სკოლის დირექტორმა, ნათელა ბახტაძემ, განმარტა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულ რჩევას და ჩაასწორებდა ტერმინს. მისი თქმით, აღნიშნულში იგულისხმებოდა, რომ სკოლის ხედვა იყო ისეთი მოსწავლის აღზრდა, რომელსაც შეეძლებოდა საზოგადოებაში თავისუფლად სოციალიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ კომპლექსურ დავალებებს ესაჭიროებოდა დახვეწა და მეტი კონკრეტულობა, რათა მოსწავლეს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება მოეთხოვებათ დავალებების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:12
დასრულების დრო - 17:18

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 247863726) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცინარეთი, მე-3 ქუჩის I ჩიხი, N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცინარეთი, მე-3 ქუჩის I ჩიხი, N4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცინარეთი, მე-3 ქუჩის I ჩიხი, N4

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა, 2026 წლის დეკემბერში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, შენობის მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსის ან ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 10 და 11 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1300. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1300 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ იყო ახლადაშენებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა თანამედროვე რესურსებით სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურსოთახი და შიდა სპორტული დარბაზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და მაქსიმუმს აკეთებდა მისი განვითარებისთვის და მოსწავლეთა ხელშეწყობისთვის. აღნიშნული მოსაზრება დაადასტურა, საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამაც.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, მოსწავლეებს უწევდათ თუ არა სკოლაში ფორმით სიარული.
სკოლის დირექტორმა, ნუნუ კაპანაძემ, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, მოსწავლეები ატარებდნენ თეთრ მაისურს/პერანგს და მუქი ფერის შარვალს.
ექსპერტის, ხათუნა ჩხიკვაძის, განმარტებით, მოსწავლეები არ ატარებდნენ კონკრეტულად ერთ სამოსს, თუმცა, ჰქონდათ ტანისამოსის ფერების შეზღუდვა.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რა იყო მოსწავლეთა თვითმმართველობის მოტივაცია, რომ სკოლაში ყოფილიყო ფორმების ტარების კულტურა.
სკოლის დირექტორმა, ნუნუ კაპანაძემ, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის განმარტებით, მეტად ესთეტიური იქნებოდა ყველა მოსწავლეს ერთ ფერში ეტარებინა სამოსი. აქვე, მისი თქმით, სკოლის წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს მრავალშვილიანი ოჯახების მდგომარეობა და გადაწყვიტეს, რომ მკაცრად განსაზღვრული ფორმისა, დაეწესებინათ მხოლოდ ფერების „შეზღუდვა“.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ ხდებოდა ტანისამოსის მონიტორინგი და აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო თუ არა მოსწავლეთა თვითმმართველობა.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ფორმების ტარებას ნამდვილად ესაჭიროებოდა მონიტორინგი და აღნიშნულში აქტიურად იღებდა მონაწილეობას მოსწავლეთა თვითმმართველობა.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებული იყო თუ არა ფორმის ტარების წესის დარღვევის გამო რაიმე პასუხისმგებლობა მოსწავლეებისათვის. აქვე, დაინტერესდა, როგორ მიაწოდეს ინფორმაცია მოსწავლეებსა და მშობლებს, ფორმის ტარების შესახებ.
სკოლის დირექტორმა, ნუნუ კაპანაძემ, აღნიშნა, რომ მსგავსი ჩანაწერი შინაგანაწესში არ ჰქონიათ, ვინაიდან ამის გამო სკოლას არ აქვს არანაირი სახდელი. მისი განმარტებით, ფორმების შემოღების ინიციატივა მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად, ჰქონდათ მოსწავლეების მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს და შესაბამისად, ჰქონდათ სრული მიმღებლობა ამ საკითხის მიმართ. მისი თქმით, გამონაკლისს წარმოადგენდა ერთადერთი კლასი, თუმცა, მოსწავლეთა თვითმმართველობისგან მოსმენილი არგუმენტების შემდგომ, ისინიც დათანხმდნენ ამ რეგულაციას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ფორმების ტარების მონიტორინგი მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად, განეხორციელებინა სკოლის დირექციას, რათა აღნიშნულს არ გამოეწვია მოსწავლეთა შორის კონფლიქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:35
დასრულების დრო - 17:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007642) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ზღვისუბანი, XბI კვარტალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ზღვისუბანი, XბI კვარტალი
3		საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ზღვისუბანი, XბI კვარტალი

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

8. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა მუმლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 340. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 340 მოსწავლისთვის.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ორ მისამართზე, დედოფლისწყაროს რაიონ სოფელ ზემო მაჩხაანსა და სოფელ მირზაანში. მისი თქმით, ორივე შენობა იყო კეთილმოწყობილი, აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. ამ მიზნით გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებელთან.

ექსპერტმა, მადონა მუმლაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა “მეტწილად”, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა “ნაწილობრივი” შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, შეიმუშავა თუ არა სკოლამ ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმები და საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კურიკულუმები რატომ არ მოიცავდა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მან მიმართა უცხო ენების ექსპერტს, შეეფასებინა, ამ მიმართულებით, რა მდგომარეობა იყო უცხო ენების კურიკულუმებში.
სკოლის დირექტორის, ხათუნა მაძღარაშვილის, განმარტებით, სკოლა მუშაობდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, ხოლო შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში ჰქონდა შემუშავებული.
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის, მარგარიტა ჯიქიას, განმარტებით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით გადმოაგზავნა ჩასწორებული კურიკულუმები, სადაც მოცემული იყო როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, მაია გოგოლაძის, განმარტებით, კურიკულუმი არ იძლეოდა იმის შეფასების საშუალებას, თუ როგორ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, არ იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა. მან აღნიშნა, რომ ჰქონდა შეხვედრები სკოლის წარმომადგენლებთან და დამატებით დოკუმენტაციად მიიღო მეტად დახვეწილი კურიკულუმები, სადაც გათვალისწინებული იყო ექსპერტების რჩევები და რეკომენდაციები, მათ შორის, ასახული იყო შეფასების რუბრიკებიც.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებული ჰქონდა მხოლოდ დაწესებულების შენობის ამსახველი ერთი ფოტოსურათი და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მეტად გაემრავალფეროვნებინა სკოლის ვებ-გვერდი და აესახათ სავალდებულო ინფორმაციები. მისი თქმით, ვებ-გვერდზე არსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ მოდიოდა თანხვედრაში სკოლის მიერ წარმოდგენილ მისია, ხედვასა და ღირებულებებთან.
სკოლის დირექტორმა, ხათუნა მაძღარაშვილმა, განმარტა, რომ ვებ-გვერდზე ასახული იყო სკოლის ძველი მისია, ხედვა და ღირებულებები და აუცილებლად ჩაასწორებდნენ.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, ჩაესწორებინათ სკოლის მისიაში ასახული ინფორმაცია, კერძოდ ის, რომ სკოლის მისია იყო მოსწავლეებში სოციალური ორიენტაციის განვითარება, ვინაიდან, ასეთი ტერმინი არ არსებობდა. აქვე, დაინტერესდა, რამდენი შენობა ჰქონდა სკოლას.
სკოლის დირექტორის, ხათუნა მაძღარაშვილის, განმარტებით სკოლას ჰქონდა ორი მოქმედი შენობა, ხოლო ერთი არ ფუნქციონირებდა. მისი თქმით, სკოლამ საავტორიზაციო განაცხადში ასახა ორი შენობა და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდანაც შესწავლილ იქნა ორი შენობა. მისი თქმით, მესამე შენობა ირიცხებოდა სკოლის ბალანსზე, თუმცა არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ ბრძანებებზე მთლიანი გერბის გამოყენების უფლება ჰქონდა პრემიერ მინისტრს და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, გამოეყენებინათ ნახევარი გერბი, ბრძანებები გამოეცათ დამტკიცებული ტიტულის შესაბამისად. ასევე, დაინტერესდა, რატომ შეამცირეს საგაკვეთილო პროცესი 40 წუთამდე.
სკოლის დირექტორმა, ხათუნა მაძღარაშვილმა, განმარტა, რომ მეორე ცვლაში სკოლაში შემოდიოდნენ სხვა სკოლის წარმომადგენლები (ვინაიდან მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები) და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით, საგაკვეთილო დროდ განსაზღვრეს 40 წუთი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ საფეხურის დაძლევის ბრძანებაში მითითებული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი. მისი თქმით, ამ შემთხვევაში ვერ

მოხდებოდა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტი ყურადღება დაეთმო ამ საკითხისთვის, ასევე, პედაგოგიური საბჭო არ იყო უფლებამოსილი განეხილა მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხი.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, ასევე, დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგეს სკოლის წარმომადგენლებმა მანამ, სანამ შეუჩერებდნენ ერთ-ერთ მოსწავლეს სტატუსს.
სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლე არ დადიოდა სკოლაში და დამრიგებელმა გადაამოწმა ინფორმაცია, რის საფუძველზეც აღმოჩნდა, რომ მოსწავლემ დატოვა საქართველოს საზღვარი და წავიდა მშობელთან საცხოვრებლად. მისი თქმით, მოსწავლის წარმომადგენელმა წერილით მიმართა სკოლას, აღნიშნული მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის. ასევე, დაინტერესდა ახორციელებდა თუ არა დაწესებულება შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, მარინე სეხნიაშვილის, განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევები და დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ასახული იყო ეს ყოველივე. მისი თქმით, მასწავლებლებმა წარმოადგინეს სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, თუმცა აღნიშნული არ ჰქონდათ დოკუმენტურად გაწერილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ანალიზი, თუმცა ახორციელებდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, ყოველი სემესტრის ბოლოს კი, მოსწავლეები წარადგენდნენ პრეზენტაციას იმის შესახებ, თუ რომელი კვლევითი სამუშაო და ექსპერიმენტი განახორციელეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 340 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:55
დასრულების დრო - 18:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 228525584) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი; დედოფლისწყაროს რაიონი სოფელი მირზაანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი; დედოფლისწყაროს რაიონი სოფელი მირზაანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი; დედოფლისწყაროს რაიონი სოფელი მირზაანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: 1.2 და 3.3 კომპონენტები .

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის დეკემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერის, ხოლო 2025 წლის დეკემბერში 2.1 კომპონენტთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტში სველი წერტილისა და ამწოვი კარადის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს

თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინა ძულიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1400. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1400 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თინა ძულიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო, ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სრულად აღჭურვილი ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, შიდა ორი სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი.

ექსპერტის თქმით, სკოლა ხელს უწყობდა პროფესიული განათლების წახალისებას და ამ მიზნით გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯთან „მოდუსი“, ასევე, თანამშრომლობდა კადეტთა სკოლასთან. მისი განმარტებით, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა წახალისებას და ამ მიზნით, დაწესებულებაში ტარდებოდა სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება. ასევე, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კურსდამთავრებულებს უხსნიდნენ ვარსკვლავს.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორი იყო სკოლის გამოცდილება წარმატებული მოსწავლეების წახალისების მიზნით, გარდა ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებისთვის ვარსკვლავის გახსნისა.

სკოლის დირექტორმა, ბექა შათირიშვილმა, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა წახალისების მიზნით დაწესებულებას ჰქონდა მრავალწლიანი გამოცდილება, მათ შორის, საჯაროდ უხდიდნენ მადლობას და აჯილდოვებდნენ სიგელებით.

ექსპერტის, თინა ძულიაშვილის, განმარტებით, სკოლაში იყო გამოყოფილი სივრცე, სადაც მოცემული იყო წარმატებული მოსწავლეების მიღწევები.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას კარგად ჰქონდა შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირების ინსტრუმენტები. ასევე, გაანალიზებული ჰქონდა მოსწავლეთა შედეგები.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული საქვეუწყებო სამსახურისთვის გაგზავნილი მიმართვა არ იყო რეგისტრირებული eFlow-ში, განსხვავებით სხვა დოკუმენტებისა და დაინტერესდა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი.
სკოლის დირექტორის, ბექა შათირიშვილის, განმარტებით, აღნიშნულ სამსახურთან კომუნიკაციის დროს, უთხრეს, რომ მიემართათ სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და არ იყო eFlow-ს გამოყენების აუცილებლობა, ხოლო შემოსული და გასული ყველა კორესპონდენცია აღრიცხული იყო დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში.
აქვე, საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ კათედრის მიერ განაწილებულ საათობრივი დატვირთვის ოქმში, იყო მსჯელობა, რომ სკოლა ვალდებული იყო სრულ დატვირთვამდე შეევსო საათები კონკრეტული საგნის მასწავლებლებისთვის, თუმცა, სრულ დატვირთვად სკოლას მითითებული ჰქონდა 15 საათი, რეალურად კი, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის N 108 ბრძანების თანახმად, სრული დატვირთვა გულისხმობდა მასწავლებლის 36 საათიან სამუშაო კვირას, სადაც, ასევე მოიაზრებოდა 18 საგაკვეთილო საათი კვირაში და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტი ყურადღება დაეთმო აღნიშნული საკითხისთვის.
სკოლის დირექტორმა, ბექა შათირიშვილმა, აღნიშნა, რომ 15 სამუშაო საათით არც ერთი მასწავლებელი არ შემოფარგლულა და ყველას ჰქონდა სრული დატვირთვა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე სკოლის ფინანსურ ნაწილში აესახათ სათანადო ინფორმაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:20
დასრულების დრო - 18:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლას (ს/კ: 216317359) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. რუსთავი, მე-20 მიკრო რაიონი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. რუსთავი, მე-20 მიკრო რაიონი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. რუსთავი, მე-20 მიკრო რაიონი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული